საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000084438382621

№ 01-32-A 12 / თებერვალი / 2021 წ.

ბრძანება

ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ქვეპუნქტით და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 თებერვლის დადგენილების № 09/2021 საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 თებერვლის დადგენილების № 09/2021 დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში 2021 წლის 15 თებერვლიდან პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:

ა.Covid-19-თან დაკავშირებული რეგულაციებისა და მოთხოვნების შესრულების გეგმის განხორციელების მაკონტროლებელ პირად განისაზღვროს - გულნარა ნიკოლაძე.

ბ)COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციებისა და მოთხოვნების შესრულების კოორდინატორად, რეაგირების გეგმის განხორციელების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს თეა გელდიაშვილი.

გ) თეა გელდიაშვილს დაევალოს ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმით გაწერილი ინსტრუქციის შესაბამისად შენობაში მოქალაქეთა დაშვებაზე, სანიტარულ-ჰიგიენური და სადეზინფექციო სამუშაოების განხორცილებაზე პასუხისმგებელი პირების დასაქმებულების/ვიზიტორების/ მოსწავლეების/მშობლების და სხვა პირების მიერ სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებაზე კონტროლი.

გ)თეა გელდიაშვილს დაექვემდებაროს დღის მორიგეები, მეხანძრე-დარაჯები, დამლაგებლები, მუშა.

დ)Covid -19-თანდაკავშირებული რეგულაციებისა და მოთხოვნების შესრულებისათვის, რეაგირების გეგმის მიხედვით მოსწავლეთა კვების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობასა და უსაფრთხოებაზე, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და დასუფთავებასა და ჰიგიენური რეჟიმის უზრუნველყოფაზე ზედამხედველ პირად განისაზღვროს თეა გელდიაშვილი.

ე) Covid-19-თან დაკავშირებული წესების, ინსტრუქციებისა და საჯარო ინფორმაციის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევების დადადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებული ინფორმაციისა)გაცემაზე (დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე) პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს თეა გელდიაშვილი.

ვ)თეა გელდიაშვილს დაევალოს წერილობითი ფორმით, მყისიერად აცნობოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რეაგირებისათვისს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო

კონსერვატორიის სამუსიკო სეინარიაში covid-19-თან დაკავშირებული პროცედურების, წესების შეუსრულებლობასა ან/და არაჯეროვან შესრულებაზე აღმოჩენილი დარღვევები.

2.აღჭურვილობის, სპეცტანსაცმლის და სადეზინფექციო საშუალებების გაცემის უზრუნველყოფა ინსტრქუციის შესაბამისად, დაევალოს ეთერ ზერეკიძეს.

3.ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმით გაწერილი ინსტრუქციისა და წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით შენობაში მოქალაქეთა დაშვება, თერმოსკრინინგის განხორციელება შენობაში შემოსვლისას მოქალაქეთა მხრიდან covid-19-თან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი (დეზობარიერის გამოყენება, პირბადით დაშვება, თერმოსკრინინგი),ინციდენტის აღმოჩენის, სიცხის დაფიქსირების შემთხვევაში რეაგირება - შეკავების ოთახში განთვსება და 112 შეტყობინების გაგზავნა საჭიროების დროს და ინფექციური შემთხვევების აღმოჩენის ჟურნალის წარმოების მონიტორინგი დაევალოს რახელი მუზაევს.

4.თერმოსკრინინგის, ინფექციური შემთხვევების ჟურნალის წარმოება დაევალოს დღის მორიგეს სესილია სამუშიას .

5.სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის შედგენილი დოკუმენტაცია გადაეცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს კონსერვატორიის არქივში ჩასაბარებლად.

6.შენობის სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელება, შენობის დასუფთავება, შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, დაევალოს სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის სამეურნეო სამსახურის თანამშრომლებს(დამლაგებლები).

7.სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებაზე კონტროლი დაევალოს სამუსიკო სემინარიის სართულის მორიგეებს.

8.სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის საკონცერტო დარბაზის სავენტილაციო სისტემის ტექნიკურად გამართულად ფუნქციონირების მონიტორინგი დაევალოს ინჟინერს გიორგი ნიკოლაძეს.

9.წინამდებარე ბრძანების შეუსრულებლობასა ან/და არაჯეროვან შესრულებაზე პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა კონსერვატორიის შინაგანაწესისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.

11.ბრძანება დაეგზავნოს ყველა სტრუქტურულ ერთეულს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

13.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისიძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლისხეივანიმე-12 კმ. N6).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ხორბალაძე